გავუფრთხილდეთ დედამიწას!

მარიამ ნასყიდაშვილი VI ა კლასი

დედამიწა „ცოცხალი არსებაა“. მას მუდმივად სჭირდება მოფრთხილება. მის ბინადართაგან არც ერთი ცოცხალი არსება ისეთ ზიანს არ აყენებს მშობლიურ პლანეტას, როგორც ჩვენ, “ ცივილიზებული და მოაზროვნე“ არსებები.

22 აპრილი დედამიწის საერთაშორისო დღეა! ის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური გარემოსდაცვითი ღონისძიებაა, რომლშიც ყოველ წელს მსოფლიოს 192 ქვეყნის სხვადასხვა ორგანიზაცია და მილიონობით მოხალისე მონაწილეობს.

1970 წელს სანტა ბარბარას საბადოდან ნავთობის დაღვრას, ოკეანის დაბინძურება და წყლის ბინადართა განადგურება მოჰყვა. ამერიკელი გარემოსდამცველი სენატორის, გეილორდ ნელსონის მოწოდებას, დაეცვათ დედამიწა, 20 მილიონი ადამიანი შეურთდა. მას შემდეგ, დედამიწის დღე ყოველწლიურად 22 აპრილს აღინიშნება.

საქართველო „დედამიწის დღეს“ 1990 წლიდან სხვადასხვა გარემოსდაცვითი ღონისძიებით აღნიშნავს.

რატომ უნდა გავუფრთხილდეთ დედამიწას:

- გარემოზე ზრუნვა და მისი ჯანსაღად შენარჩუნება ჩვენი და მომავალი თაობების ცხოვრებას უკეთესს გახდის
- გარემოს დაცვა ამცირებს გლობალური დათბობის რისკს
- გარემოზე ზრუნვა ხელს უწყობს ეკონომიკურ სტაბილურობას
- გარემოზე ზრუნვა იცავს კაცობრიობას
- ბიომრავალფეროვნებაზე ზრუნვა დედამიწაზე სიცოცხლის შენარჩუნების მნიშვნელოვანი კომპონენტია
- გარემოზე ზრუნვა კარგად უსვამს ხაზს ჩვენს პიროვნებას
- გარემოს დაბინძურება ერთ-ერთი ყველაზე საშიში ფაქტორია, რომელიც კაცობრიობას საფრთხეს უქმნის. იგი გავლენას ახდენს საკვები პროდუქტების ხარისხზე, რაც ტოქსინების ჩვენს ორგანიზმში მოხვედრით სრულდება.
- გარემოს დაბინძურება იწვევს ოზონის ხვრელის გაზრდას.

დედამიწის მტრები

- რადიაქტიური გამოსხივება;
- ოკეანესა და ხმელეთზე ნავთობის დაღვრა;
- ქიმიური ნივთიერებების გამოფრქვევა;
- სმოგი და მჟავა წვიმები;
- ტყის გამანადგურებელი ჭრა;
- გაუდაბნოება.

როგორ გადავარჩინოთ დედამიწა?!

- არ დავაბინძუროთ წყალი!

- არ დავაბინძუროთ ჰაერი!

- არ დავაბინძუროთ გარემო ნაგვით!

არ გავჩეხოთ ტყე!

ერთად გავუფრთხილდეთ დედამიწას!

დედამიწა ჩვენი საერთო სახლია!